პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები.</p> <p>საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვა, 2020 წელს დასრულდა სოფ. ნაფარეულის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფ. კისისხევის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და ქ. თელავის მეორე საჯარო სკოლის გათბობის ქვების რეაბილიტაცია, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაფარეულის საჯარო სკოლის ეზოს აღმოსავლეთ ნაწილის შემოღობვა. სოფ. ქვ. ხოდაშენის საჯარო სკოლაში განხორციელდება სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ღონისძიებები, N2 საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაფარეულის საჯარო სკოლის, სანიორის კორპუსის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები. 2020 წელს დაიწყო და დასრულდება 2021 წელს N3, N4, N5, N7, N6, სოფ. ლალისყურის საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაცია, სოფ. წინანდლის საჯარო სკოლის გამაგრების სამუშაოები. გეგმის შესრულებლობა გამოწვეულია ნაწილობრივ საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების 2021 წელს დასრულებით, სამუშაოების შესრულებიდან დარჩენილი ეკონომიებით. აგრეთვე, სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებისათვის გათვალისწინებულ დაფინანსებაში წარმოქმნილი ეკონომიით, რაც გამოწვეულია ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, საჯარო სკოლების დისტანციურ სწავლებაზე გადასვლით.</p> <p>მიზანი: საჯარო სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებულია და მოწესრიგებულია საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა.	მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულია და მოწესრიგებულია საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა.

	უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება		უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება
--	--	--	--

კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4 810,47	3 981,35	82,76
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2 186,35	1 796,14	82,15
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	714,70	390,86	54,69
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 407,00	1 348,46	95,84
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	64,65	56,82	87,90
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 948,84	1 831,11	93,96
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	1 842,18	1 750,20	95,01
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	25,66	24,91	97,09
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	81,00	55,99	69,12
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	65,40	2,95	4,50
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	15,40	2,95	19,12
05 03 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	50,00	0,00	0,00
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40,00	40,00	100,00
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	34,27	26,35	76,89
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	535,62	284,82	53,18

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 01)
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	განხორციელდა ქ.თელავში მდებარე გ.ჩოხელის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა/ექსპერტიზა. 2020 წელს დასრულდა ქ. თელავში საჩოგბურთე კორტების კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. თელავში ანთაძის სახელობის სპორტული სკოლის დარბაზის გათბობის ქსელის მოწყობის სამუშაოები. სოფელ ქვ. ხოდაშენში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა. 2019 წელს დაკონტრაქტდა და გაგრძელდა 2020 წელს ქ. თელავში ჭადრაკის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, აღნიშნული შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას, იატაკის მოხსნის შემდგომ, აღმოჩნდა ახალი არტეფაქტები, კერძოდ, სამი დიდი ქვევრი. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ასეთი შემთხვევის დროს სიტუაცია საჭიროებს დამატებით შესწავლას

	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მხრიდან. შესწავლის პროცესში გამოიკვეთა მეორე არტეფაქტიც, კედელში აღმოჩნდა ძველი თაღოვანი ნაგებობა. შესაბამისად პროექტმა მოითხოვა ცვლილება, რაც განხორციელდა 2020 წლის ბოლოს, აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოები დასრულდება 2021 წელს. გემის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია ქ. თელავში ჭადრაკის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების 2021 წელს გაგრძელებით. მიზანი: სპორტის განვითარების ხელშეწყობა		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები	მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (05 01 02)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ფიზიკურ აქტივობებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობას. მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული ასპარეზობა; მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. ახალი კორნავირუსის (COVID -19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეზღუდვების დაწესებამდე სპორტული ორგანიზაციების მიერ განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტურნირებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ორგანიზაციები: ააიპ თელავის სასპორტო გაერთიანება - დაზუსტებული გეგმა 175,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 145,21 ათ.ლარი; ააიპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“ - გეგმა 644,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება -627,12 ათ.ლარი; ააიპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ -გეგმა 242,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 241,57 ათ.ლარი; ააიპ ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი - გეგმა 346,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება - 334,56 ათ.ლარი, 2020 წლის განმავლობაში სპორტული სახეობების შესწავლით დაკავებული იყო 1846 ბავშვი და მოზარდი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ობიექტები - ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალი საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია, საფეხბურთო სკოლა, თ.ანთაძის სახელობის სპორტული სკოლა, მ.გალქალამანიძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლა, ჭადრაკის სახლი, სოფ. სანიორეში მძელოსნობის დარბაზი, სოფ. ვარდისუბანში ჭიდაობის დარბაზი, სოფ. იყალთოში მკლავჭიდის დარბაზი და ა.შ. ააიპ „თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რესპუბლიკურ ღონისძიებაში (10 ტურნირი). სადაც მონაწილეობა მიიღო 73-მა მონაწილემ. ჩატარდა ჩოგბურთის მოყვარულთა და ვეტერანთა ტურნირები (60 საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა და კანდიდატთა რაოდენობაა 4 ჩოგბურთელი. ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავის“ სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შეჯიბრებებში. დაიკავეს საპრიზო ადგილები, ბავშვებსა და მოზარდებს, შესაძლებლობა აქვთ გარდა ქ. თელავში არსებული სპორტული ობიექტებისა, ივარჯიშონ აგრეთვე სოფლად არსებულ სპორტ-დარბაზებში, რაც მათთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის დაკავდნენ სპორტით. ააიპ სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული სექცია: კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, რაგბი, ბილიარდი, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტირი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი. მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პირველობაზე, კალენდრის მიხედვით.</p> <p>მიზანი: სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია	მიღწეული შედეგი	სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 03)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო შემდეგი ღონისძიებები: „იცხოვრე სპორტით“ - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადაში სპორტის შემდეგ სახეობებში : ფეხბურთში, კალათბურთში, სირბილში (დიდ და მცირე დისტანციებზე) სიმაღლეზე ხტომაში,		

	ბერინრინგში, ძიუდოსა და მაგიდის ჩოგბურთში. სასკოლო - სპორტული ოლიმპიადა - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობას სპორტის 7 სახეობაში, სპორტი ბარიერების გარეშე. ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიებები ვერ განხორციელდა, ქეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, ქ. თელავში ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების ორგანიზებისათვის თანადაფინანსება. მიზანი: მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია,		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია	მიღწეული შედეგი	ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიებები ვერ განხორციელდა,

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ორგანიზაციები, რომელთა 2020 წლის დაფინანსებებმა შეადგინა: ა(ა)იპ თელავის ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი - გეგმა 120,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 118,60 ათ.ლარი; ა(ა)იპ ქ.თელავის #1 სამუსიკო სკოლა -გეგმა 120,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 115,83 ათ.ლარი; ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - #2 სამუსიკო სკოლა - გეგმა 108,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 105,1 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა - გეგმა 90,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 89,87 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - გეგმა 288,3 ათ.ლარი, საკასო შესრულება 266,92 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - გეგმა 772,28 ათ.ლარი, საკასო შესრულება 730,62 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი- გეგმა 105,1 ათ.ლარი, საკასო შესრულება 94,1 ათ.ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა - გეგმა 64,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 63,95 ათ. ლარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა - გეგმა 120,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 110,97 ათ. ლარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა -გეგმა 54,5 ათ. ლარი, საკასო შესრულება 54,23 ათ. ლარი. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე კულტურული ორგანიზაციები ფუნქციონირებდნენ ქვეყანაში პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით.</p> <p>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება აერთიანებს მუნიციპალიტეტის 27 ბიბლიოთეკას, წიგნადი ფონდია 432340 ფონდი გაწმენდილია შინაარსობრივად და ფიზიკურად მოძველებული ლიტერატურისაგან. მთავარ ბიბლიოთეკას აქვს 780 დისკი და ხმოვანი წიგნი, მხედველობა დაკარგულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები. ადგილობრივი, საერო, რელიგიური და სხვადასხვა დღესასწაულების აღნიშვნა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის, რომლის ხელისშემწყობი და განმახორციელებელი აა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე კულტურული ღონისძიებები ჩატარდა პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით.</p> <p>მიზანი: მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარება. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	კულტურულ, სახელოვნებო, დაწესებულებათა ხელშეწყობა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია	მიღწეული შედეგი	კულტურულ, სახელოვნებო, დაწესებულებათა ხელშეწყობა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 02 02)
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და მეგლთა დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. კურდელაურის ყოფილი კულტურის სახლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, სოფ. ლალისყურში კულტურის სახლის ოთახების კარ-ფანჯრების რეაბილიტაცია. კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს, კულტურულ ღონისძიებებს, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ინიციატივების, კონცერტების, გამოფენების, ფესტივალების და სხვადასხვა კულტურული თუ საგანმანათლებლო აქტივობების ხელშეწყობას წლის განმავლობაში. ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე ჩასატარებელი კულტურული ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ჩატარებულა. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე ჩასატარებელი კულტურული ღონისძიებების გაუქმებით. დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „არქეოლოგიური ბანაკი“ გონიო აფსაროსის მუზეუმ ნაკრძალში, პროექტი მონაწილეობა მიიღო თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის პედაგოგებმა. 2020 წელს განხორციელდა ონლაინ ტრენინგი „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ ახალგაზრდობისათვის (ჩართო 20 ახალგაზრდა). პროგრამის მიზანია მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარება და პოპულარიზაცია. საზოგადოების ჩართულობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	საზოგადოების ჩართულობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.	მიღწეული შედეგი	დაგეგმილ ღონისძიებებზე მოქალაქეების ჩართულობა.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი ღონისძიებები: ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა - წლის ბოლოს შემაჯამებელი შეხვედრა ახალგაზრდებთან. გამოვლენა და დაჯილდოვება აქტიური ახალგაზრდების. ახალგაზრდული პროექტები - ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა და მათი დაინტერესება, რათა აქტიურად იყვნენ ჩაბმულები, შემეცნებით-საგანმანათლებლო და სხვადასხვა ღონისძიებებში. განხორციელდება სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა. ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე ჩასატარებელი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ჩატარებულა, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 02)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები, რომელთა შერჩევაც მოხდა კონკურსის საშუალებით. 2020 წელს მოხდა გამარჯვებული პროექტების შერჩევა, ხოლო მისი განხორციელება დაიგეგმა 2021 წლისთვის, რაც გეგმის შეუსრულებლობის საფუძველია. ქვეპროგრამის მიზანია: ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მათი ნოვაციური და ინფრასტრუქტურული ინიციატივების მხარდაჭერა.

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)			
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს დაფინანსება. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დამწეები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<table border="1"> <tr> <td>ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა, უცნობი მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის</td> <td>მიღწეული შედეგი</td> <td>ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა, უცნობი მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის</td> </tr> </table>	ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა, უცნობი მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის	მიღწეული შედეგი	ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა, უცნობი მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის
ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა, უცნობი მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის	მიღწეული შედეგი	ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა, უცნობი მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის		

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)			
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ.თელავში დაბახნების ობიექტის გადახურვის სამუშაო და სოფ. თეთრწყლებში მდებარე ნაქალაქარის სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები. მოეწყო „კვირიკე დიდი ციხი“-ს დამატებითი გარე განათება. პროგრამის მიზანია: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა, გადარჩენა, შენარჩუნება. ასევე კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებას როგორც ეკონომიკური წინსვლის ფაქტორი მუნიციპალურ დონეზე.			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	<table border="1"> <tr> <td>შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.</td> <td>მიღწეული შედეგი</td> <td>შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.</td> </tr> </table>	შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.	მიღწეული შედეგი	შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.
შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.	მიღწეული შედეგი	შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.		

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	2020 წელს დასრულდა ქ. თელავში დასვენების პარკ „ნადიკვარ“-ზე ამფითეატრის გადახურვის სამუშაოები. 2020 წელს დაიწყო ქ. თელავში დასვენების პარკ „ნადიკვარ“-ზე ფანჯატურების და ტერასების სარეაბილიტაციო-მოწყობის სამუშაოები, რომლის დასრულება ვერ განხორციელდა 2020 წელს, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა. მიზანი: დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების რეაბილიტაცია.

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	%
06 00	ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	2 971,31	2 612,50	87,92
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	533,82	442,54	82,90
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	150,00	148,78	99,19
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	383,82	293,77	76,54
06 02	სოციალური დაცვა	2 437,50	2 169,95	89,02
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	32,60	32,42	99,45
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	438,65	437,90	99,83
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	7,80	7,65	98,08
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	430,85	430,25	99,86
06 02 03	უშუქოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	545,00	544,19	99,85
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10,00	5,25	52,50
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	174,71	172,37	98,66
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4,00	2,00	50,00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები	83,93	64,45	76,79
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	87,20	86,41	99,09
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	40,00	37,60	94,00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	957,23	730,18	76,28
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	60,53	55,53	91,74
06 02 13	სტუდენტთა სოციალური დახმარება	2,00	0,00	0,00
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	1,65	1,65	100,00

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი (06 01 01)
--	---

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდეზიოლოგია, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკის წარმოებისთვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის რისკ - ფაქტორებზე მონიტორინგი და მისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს. კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან, გარემოს, შრომის, სასამართლო წყლის, საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობაში საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა. მოსახლეობის ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება. გადამდებ დაავადებათა ეპიდეზიოლოგია და კონტროლის ღონისძიებები. პირველადი ეპიდ კვლევის განხორციელება, ეპიდ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, სეზონური გრიპის ვაქცინით აიცრა 3830 პირი, კაპილომას საწინააღმდეგო ვაქცინაციის აპვე (HPV) დანერგვა, აიცრა 998 გოგონა, მოგვის მარკენგელი შეადგენს 87%-ს. პირველად ჯანდაცვაში C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის სკრინინგის განხორციელება, გამოკვლეული იქნა 14289 ბენეფიციარი. განხორციელდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების ხელშეწყობა, მონაცემთა დამუშავება, ანალიზი, ვაქცინების და სხვა ასაცრელი მასალის გაცემა მუნიციპალიტეტის პუჯდ რეგისტრაციის, 2020 წელს იმუნიზაციის ფარგლებში აიცრა 10802 ბენეფიციარი. მალარიის და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) პრევენციის და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება, დამუშავდა 678 შენობა, განხორციელდა მალარიის პროფილაქტიკური იტერვენცია გუბეების ამოვსების გზით, აღრიცხულია 199 წყალსატევი. 2020 წლის მასის თვიდან, ახალი კორონავირუსის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის ფარგლებში დაიწყო PCR ტესტირება, ხოლო ნოემბრის თვიდან ანტიგენზე დაფუძნებული Ag-RDTs ტესტ-სისტემებით, რის საფუძველზეც გაფართოებული ტესტირების ფარგლებში ჩატარდა 19280 პირის ტესტირება. განხორციელებული ღონისძიებების მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, მკურნალობაში დროული ჩართვა, ცნობიერების ამაღლება.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება. საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება	მიღწეული შედეგი	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები (06 01 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო დაწესებულებების მოწესრიგება, რეაბილიტაცია. 2020 წელს დასრულდა სოფელ ნაფარულში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა, ეზოს კეთილმოწყობა. სოფელ ნაფარულის ამბულატორიის სახურავის და ოთახების რეაბილიტაცია, სოფ. ქვემო ხოდაშენში ახალი ამბულატორიის შენობის მშენებლობა, სოფ. თეთრწყლების ამბულატორიის გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები. აგრეთვე, აღნიშნულ ქვეპროგრამაში დაზუსტდა თანხა და განხორციელდა კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსება. მიზანი: ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის ხელმისაწვდომობისათვის მოწესრიგებული სამედიცინო ინფრასტრუქტურა	მიღწეული შედეგი	მოსახლეობის ხელმისაწვდომობისათვის მოწესრიგებული სამედიცინო ინფრასტრუქტურა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა (06 02 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის დასოციალურ საკითხთა სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირების თანადაფინანსებას, ანაზღაურება ხორციელდება ყოველთვიურად. ქვეპროგრამით ისარგებლა 51 ბენეფიციარმა. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრა დასახელების ზონირების შესაბამისად.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	დაავადებულთა მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.	მიღწეული შედეგი	დაავადებულთა მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა (06 02 02 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის დასოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ.პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა 18 წლამდე შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა	მიღწეული შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა 18 წლამდე შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (06 02 02 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის დასოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მათი დაფინანსება. დაფინანსება ხდება აგვისტოს, სექტემბერის, ოქტომბერის, ნოემბერსა და დეკემბრის თვეში, წლის განმავლობაში. ა. სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფ მოქალაქეებზე რომელთა სარეიტინგო ქულა განისაზღვრება 57000 ქულამდე, გაიცემა ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით. ბ. სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფ მოქალაქეებზე რომელთა სარეიტინგო ქულა განისაზღვრება 57000 ქულის ზემოთ 100 000 ქულის ჩათვლით, გაიცემა ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (06 02 03)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“. ყოველთვიურად ხდება კვებით მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული სოციალურად დაუცველი ბენეფიციართა ბაზის და ადმინისტრაციული ერთეულებიდან მერის წარმომადგენელთა შუამდგომლობის საფუძველზე. ბენეფიციარებისათვის შექმნილია გარემო სადაც კომფორტულად იგრძნობენ თავს. 2020 წელს უფასო სასადილოთი მომსახურება გაეწია 510 ბენეფიციარს.		

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მინიმალური საკვებით უზრუნველყოფა	მიღწეული შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მინიმალური საკვებით უზრუნველყოფა
--------------------------	--	-----------------	--

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ვეტერანთა, გარდაცვლილდევნილთა და უპატრონი მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები (06 02 04)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მეორემ სოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი) დევნილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით. 2020 წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 16 ბენეფიციარს. გეგმის შესრულება დამოკიდებულია ღონისძიების კრიტერიუმის ფარგლებში მომართვიანობაზე. ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გარდაცვლილთა ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით	მიღწეული შედეგი	გარდაცვლილთა ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (06 02 05)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ახალშობილთა დაბადებისას ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების დაფინანსებას (0-1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად); 2020 წელს აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 21 ახალშობილ ბავშვთა ოჯახმა და 123 მრავალშვილიანმა ოჯახმა (519 ბავშვი), სოციალურად დაუცველი ოჯახების დაფინანსებით (0-1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად) ისარგებლა 17 ბენეფიციარმა; ქვეპროგრამის მიზანია: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით	მიღწეული შედეგი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ვეტერანთა საზოგადოება (06 02 06)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, სამამულო და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა ორგანიზაციების ხელშეწყობას. გეგმის შესრულებლობა გამოწვეულია ქვეპროგრამით შესაძლო მოსარგებლე ორგანიზაციების მოუმართავობის გამო.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ვეტერანთა თანადგომა	მიღწეული შედეგი	ვეტერანთა თანადგომა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები (06 02 07)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>კომუნალურ (ელექტროენერჯის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორია: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები, შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, უდედმამო ბავშვები, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება. კომუნალურ (ელექტროენერჯის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით 2020 წლის განმავლობაში ისარგებლა 393 ოჯახმა. ხოლო ტრანსპორტით ხელშეწყობის პროგრამით სარგებლობდა სოფ. ლაფანყურის, სოფ. თეთრწყლების, სოფ. ნასამხრალის მოსახლეობა.</p> <p>მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ელექტროენერჯის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა. მოსახლეობის ტრანსპორტით ხელშეწყობა.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>ელექტრო ენერჯის გადასახადზე ხელშეწყობა. მოსახლეობის ტრანსპორტით ხელშეწყობა</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ელექტრო ენერჯის გადასახადზე ხელშეწყობა. მოსახლეობის ტრანსპორტით ხელშეწყობა</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები (06 02 08)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებლე კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში. 2020 წელს ისარგებლა 110-მა ოჯახმა.</p> <p>მიზანი: პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის უზრუნველყოფა გარკვეული დროით თავშესაფრით</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის უზრუნველყოფილია გარკვეული დროით თავშესაფრით</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის უზრუნველყოფილია გარკვეული დროით თავშესაფრით</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები (06 02 09)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ : მრავალშვილიანი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, უდედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, შშმ პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები. 2020 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 641 ბენეფიციარმა.</p> <p>მიზანი: პროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე მატერიალური მხარდაჭერა.</p>		

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე თანადგომის გამოხატვა და სადღესასწაულო წახალისება	მიღწეული შედეგი	პროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე თანადგომის გამოხატვა და სადღესასწაულო წახალისება
--------------------------	--	-----------------	--

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები (06 02 10)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიურ პაციენტთა (ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა) სამედიცინო მომსახურების და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას. პროგრამა ითვალისწინებს ასევე ბენეფიციართა სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას, დახმარების მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შობილები, მარჩენალდაკარგულები, მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, 18 წლამდე ასაკის და იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ოპერაციული, ისე სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის რეაბილიტაციის და სხვადასხვა სადიაგნოსტიკო ღონისძიებების განხორციელების თანადაფინანსებას. მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა შობილები, მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, 18 წლამდე ასაკის, მარჩენალდაკარგული, იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები. გეგმის შესრულებლობა გამოწვეულია პროგრამით მისარგებლე ბენეფიციარებზე გაცემული ადმინისტრაციული დაპირების ვადით, რომელიც დაფინანსების წესის გათვალისწინებით, შესაძლოა მოიცავდეს გარდამავალ პერიოდს (გაცემული 2020 წელს, შესრულდეს და დაფინანსდეს 2021 წელს) 2020 წელს დახმარება გაეწია 1560 ბენეფიციარს.</p> <p>მიზანი: პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის მედიკამენტების და მკურნალობის თანადაფინანსებით/დაფინანსებით უზრუნველყოფა.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია პროგრამით მოსარგებლე კატეგორია	მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია პროგრამით მოსარგებლე კატეგორია

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (06 02 11)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამით განხორციელდა შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება, აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „ალტერ ევო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზარდული ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახორციელებელი პროექტის, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის, თანადაფინანსება. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული/კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელ ბავშვთა შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება.</p> <p>მიზანი: აღნიშნული კატეგორიის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>		

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებულია მათი სოციალური უნარები	მიღწეული შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის დონის ამაღლება
--------------------------	--	-----------------	--

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სტუდენტთა სოციალური დახმარება (06 02 13)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო მზუნველობის ქვეშ მყოფი (მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები) მოზარდის მიერ პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების შემთხვევაში მატერიალურ წახალისებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მზუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები. დაფინანსება არ განხორციელებულა, რადგან ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე ქვეყანაში პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის შეზღუდვებით მიმდინარეობს გამო. რადგან არ განხორციელებულა ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა მხრიდან მომართვიანობა. მიზანი: სახელმწიფო მზუნველობის ქვეშ მყოფი (მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები) ბავშვების მატერიალური დახმარებით წახალისება.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება (06 02 14)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებული პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას - 150 ლარის ოდენობით.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მატერიალური დახმარება	მიღწეული შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის მატერიალური დახმარება

თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანგარიში

2020 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 296,13012 ათ. ლარი:

1. 3,0 ათ. ლარი - მიმდინარე წლის 29 იანვარს გარდაცვლილი თელავის საპატო მოქალაქის, ექიმის ივანე მანველიშვილის ოჯახისათვის ფულადი დახმარების გაწევის მიზნით (ბრძ. #113 03,02,2020წ).
2. 3,0 ათ. ლარი - მიმდინარე წლის 21 იანვარს გარდაცვლილი თელავის საპატო მოქალაქის, ღვაწლმოსილი პედაგოგის ელენე ხელხელაურის ოჯახისათვის ფულადი დახმარების გაწევის მიზნით, (ბრძ. #132, 04,02,2020წ);
3. 5.0 ათ. ლარი - კორონავირუსის(COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების საჭიროებისათვის (ბრძ. #361, 16,03,2020წ);
4. 0,53 ათ. ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშენში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის შშმ პირის - ნიკოლოზ ესიტაშვილის (3/520001034764) ელექტრო ეტლის შეკეთების მიზნით (ბრძ. #368, 19,03,2020წ);
5. 8,99 ათ.ლარი -კორონავირუსის(COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების საჭიროებისათვის (ბრძ. #375, 20,03,2020წ);
6. 3,08455 ათ. ლარი -კორონავირუსის(COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების საჭიროებისათვის (ბრძ. #416, 30,03,2020წ);

7. 3,4 ათ. ლარი - კორონავირუსის(COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების საჭიროებისათვის (ბრძ. #482, 10,04,2020წ);

8. 0,65 ათ. ლარი - ქალაქ თელავში, ელენე ახლედიაძის ქუჩა, N78-ში მცხოვრებ მოქალაქე ვალენტინ ჭავჭავაძის (პ/ნ20001037418), მისი გარდაცვლილი მამის დაკრძალვის ხარჯების დაფინანსების მიზნით (ბრძ. #495, 24,04,2020წ);

9. 3.89694 ათ. ლარი - კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის, კერძოდ, თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის ამბულატორიების მიერ მოსახლეობასთან ინტერნეტით შეუფერხებელი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად (ბრძ. #497, 24,04,2020წ);

10. 75,015 ათ. ლარი - კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის, კერძოდ, სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებისათვის პირველადი მოხმარების აუცილებელი საკვები პროდუქტების გადაცემის უზრუნველსაყოფად, 1500 ერთეული ამანათის შესყიდვის მიზნით (ბრძ. #503, 28,04,2020წ);

11. 0,5 ათ. ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მცხოვრებ მოქალაქე თამარ ფიცხელაურს (პ/ნ 20001042039), მისი გარდაცვლილი შვილის დაკრძალვის ხარჯების დაფინანსების მიზნით (ბრძ. #523, 06,05,2020წ);

12. 15,0 ათ. ლარი - კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისათვის, კერძოდ, სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებისათვის პირველადი მოხმარების აუცილებელი საკვები პროდუქტების გადაცემის უზრუნველსაყოფად, 300 ერთეული ამანათის შესყიდვის მიზნით (ბრძ. #598, 27,05,2020წ);

13. 84,93326 ათ. ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრისა და სხვა გარე ფაქტორების შედეგად დაზიანებული სახლების სამშენებლო მასალების შეძენის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით (ბრძ. #725, 19,06,2020წ);

14. 21,0 ათ. ლარი - მიმდინარე წლის 15-16 ივლისს თელავის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ქარიშხალი, ძლიერი წვიმა, სეტყვა) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად (ბრძ. #905, 20,07,2020წ);

15. 5.990 ათ. ლარი - მიმდინარე წლის 15-16 ივლისს თელავის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ქარიშხალი, ძლიერი წვიმა, სეტყვა) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების დროებითი გადახურვის მიზნით ტენტის შესაძენად (ბრძ. #918, 21,07,2020წ);

16. 1,92 ათ. ლარი - კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების საჭიროებისათვის (ბრძ. #1345, 16,09,2020წ);

17. 59.346 ათ. ლარი - კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში საკვები პროდუქტის ამანათების შეძენის მიზნით (ბრძ. #26203496 14.12.2020წ);

18. 0,87437 ათ. ლარი - კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, კერძოდ, ბუნებრივი აირის შეყიდვის უზრუნველყოფისათვის (ბრძ. #26203135 18.12.2020წ);